წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

რიგგარეშე სხდომის ოქმი N 12

ქ. წალენჯიხა 2022 წლის 12 სექტემბერი

2022 წლის 12 სექტემბერს გაიმართა წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომა. სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე კორნელი სალია, ესწრებოდა საკრებულოს 17 წევრი: ავთანდილ გაბელია,მანანა ჭანია, დათა კუკავა, ზაზა უბილავა, თემურ ქარდავა, ეკა სამუშია, რომან კვარაცხელია, ომარ ქარდავა, რაისა ჩანგელია, ირაკლი სალია, ნანა ქობალია, ბაჩანა ქანთარია, მამუკა მიქავა, დათო მესხია, გონერ კვარაცხელია, ნანა ლემონჯავა. სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ: მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის უფროსი გელა სალია, საკრებულოს აპარატის უფროსი-იზოლდა მოლაშხია და საკრებულოს აპარატის თანამშრომლები.

სხდომა დაიწყო: 12[00] სთ-ზე

სხდომა დასრულდა: 12[15] საათზე

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სხდომის დღის წესრიგი. ღია კენჭისყრით, ერთხმად (მომხრე 17 დეპუტატი, წინააღმდეგი-არცერთი) დამტკიცდა სხდომის დღის წესრიგი.

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1.„საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების თაობაზე“ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 11 მაისის N23 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ

მერის მიერ მომხსენებლად დანიშნული პირი: **გელა სალია,** მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის უფროსი

მოისმინეს: 1. „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების თაობაზე“ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 11 მაისის N23 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საკითხი წარმოადგინა წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის უფროსმა გელა სალიამ. მან განმარტა, რომ საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების ფონდიდან და ასევე ადგილობრივი ბიუჯეტიდან თანადაფინანსებისათვის გამოყოფილი თანხები გადანაწილდა წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულების 49 დასახლებაში, თითოეულში მცხოვრებთა რაოდენობის გათვალისწინებით. დღეის მდგომარეობით სრულად არ არის გაფორმებული ხელშეკრულებები და არ მომხდარა შესაბამისი მიმწოდებლების შერჩევა. ჯგალის ადმინისტრაციულ ერთეულში, ჯგალის დასახლებაში პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი იყო ლეჩანგელიეს უბნის

გზის მოხრეშვითი სამუშაოები, აღნიშნული სამუშაოები კი ამ გზით მოსარგებლე კომპანიის მიერ იქნა შესრულებული საკუთარი ხარჯებით, შესაბამისად თანხა 5000 ლარის ოდენობით გამოთავისუფლდა. ადგილობრივმა მაცხოვრებლებმა გამოთქვეს სურვილი რომ პრიორიტეტი მიენიჭოს N1 საბავშვო ბაღის ჭიშკრის და მისასვლელის რეაბილიტაციას, რაც დააფიქსირეს საერთო კრების ოქმში. აღნიშნულის გათვალისწინებით, წარმოვადგენილ იქნა ცვლილების პროექტი.

საკითხთან დაკაშირებით მომხსენებელს კითხვით მიმართა საკრებულოს წევრმა მანანა ჭანიამ. სოფლის პროგრამით გათვალისწინებული იყო მედანის გადასახვევთან მოსაცდელის რეაბილიტაცია, რაც უკვე რეაბილიტირებულ იქნა ა(ა)იპ „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სამსახური"-ს მიერ. მანანა ჭანია დაინტერესდა, კონკრეტულად ამ პროექტისთვის გათვალისწინებული თანხები სად გადანაწილდებოდა და საჭიროებს თუ არა აღნიშნული განკარგულებაში ცვლილების შეტანას, რაზეც მომხსენებელმა უპასუხა , რომ აღნიშნული თანხა იმ დასახლების სხვა მოწონებულ პროექტებში გადანაწილდება.

საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს წევრებს სხვა განსხვავებული აზრი არ დაუფიქსირებიათ.

სხდომის თავმჯდომარემ, კორნელი სალიამ საკითხი დააყენა ღია კენჭისყრაზე.

ღია კენჭისყრაზე ერთხმად (მომხრე 17 დეპუტატი, წინააღმდეგი-არცერთი) მიღებულ იქნა . „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების თაობაზე" წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 11 მაისის N23 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ განკარგულება N46.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის განხილვის შემდეგ , სხდომის თავმჯდომარემ კორნელი სალიამ საკრებულოს წევრებს მიაწოდა ინფორმაცია, რომ საკრებულოს წევრს გელა აბულაძეს აღკვეთის ღონისძიება პატიმრობა შეეცვალა გირაოთი, სათანადო დოკუმენტაციის მიღების შემდგომ, სამანდატო,იურიდიული და საპროცედურო კომისიის დასკვნის შესაბამისად, გელა აბულაძეს აღუდგება საკრებულოს წევრის უფლებამოსილება.

„წალენჯიხა საქართველოსთვის" ფრაქციის თავმჯდომარემ გონერ კვარაცხელიამ გააკეთა განცხადება ქ. ჯვარში წყალმომარაგების სამუშაოების შესახებ. როგორც ცნობილია სამუშაოებს ასრულებს აზერბაიჯანული კომპანია. სამუშაოების მიმდინარე ტემპი ეჭვქვეშ აყენებს სამუშაოების დროულ დასრულებას.აუცილებელია მთავრობამ შეისწავლოს და კონტროლზე აიყვანოს ეს საკითხი. აღნიშნულს დაეთანხმა საკრებულოს თავმჯდომარე კორნელი სალია და განმარტა, რომ მთავრობამ დროულად უნდა მოახდინოს რეაგირება, რათა მოგვარდეს ჯვარელებისათვის ესოდენ პრობლემური საკითხი.

საკრებულოს წევრის გონერი კვარაცხელიას წინადადებას გამოეხმაურა საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ბაჩანა ქანთარია და აღნიშნა, რომ შემსრულებელ კომპანიასთან მათაც ჰქონდა კომუნიკაცია, ისინი აცხადებენ, რომ სამუშაოები ოქტომბრის თვემდე უნდა დასრულდეს. ჯვარელები ელოდებიან სამუშაოების დროულ დასრულებას, წინააღმდეგ შემთხვევაში განხორციელდება სამართლებრივი გზით მიდგომა.

ამით საკრებულოს სხდომამ მუშაობა დაასრულა.

საკრებულოს სხდომის თავმჯდომარე **კორნელი სალია**